

**REPRESENTATION OF THE ISLAMIC IRAN IN TWO MODERN PERSIAN NOVELS:
MARKETING AND ANTI-MARKETING**

ისლამური ირანის რეპრეზენტაცია ორ თანამედროვე სპარსულ რომანში:
რეკლამა და ანტირეკლამა

Mzia Burjanadze

Doctor of Philology,
Associate Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Tbilisi, 1 Ilia Chavchavadze Avenue, 0179, Georgia
+995593464565, mzia.burjanadze@tsu.ge
<https://orcid.org/0009-0001-1305-8653>

Abstract. Analysis of the international book market has proved that modern Persian literature is not as popular and appreciated worldwide as it deserves to be.

This phenomenon, its possible reasons and circumstances are actively investigated by representatives of diverse fields in Iran and the Western states.

The aim of the given paper is to undertake a contrastive study of two modern Iranian novels and, based on this comparison, find out the role of translation centers and agencies financed by Iranian State grants projects in the promotion of Persian literature worldwide.

Research has proved that, in conditions of the existing political regime, the activities of the Iranian translation-publishing agencies are doomed for failure. It is almost impossible for the West to accept and encourage the literature which is allowed by official Iran. Another reason is that Iran's official institutions will never translate the literary products acceptable for the West.

Taking into account the great demand of Western readers, "The Enlightenment of the Greengage Tree" by emigrant writer Shokoofeh Azar, the novel which was unacceptable for Iranian authorities, was naturally included in the shortlist of Asian Booker Prize. It seems, the writer followed a certain scheme by providing a list of issues expected from a writer who has emigrated from a totalitarian oriental State and who wants to find a decent place among the Western literary circles.

Ebrahim Hasanbeigi's novel "Church Bells Start Ringing" has been included in the list of publications to be financed by the Iranian Translation Agency. This novel is an advertising banner of the Islamic Revolution, hence, it is totally uninteresting for the Western world.

Contrastive analysis of the two above-mentioned novels has explained why the translation projects financed by the Iranian Ministry of Culture and Islamic Guidance are uninteresting for the international book market.

Naturally, it is impossible to argue that the only reason for the neglect of modern Persian literature on the international market is the ideology of the translation agencies. Yet, the latter can surely be considered as one of the major factors leading to the neglect of modern Persian literature in the West.

Keywords: Islamic Iran, two modern Iranian novels, marketing and anti-marketing.

მზია ბურჯანაძე

ფილოლოგიის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179, საქართველო,
+995593464565, mzia.burjanadze@tsu.ge
<https://orcid.org/0009-0001-1305-8653>

აბსტრაქტი. წიგნის საერთაშორისო ბაზრის კვლევა გვიჩვენებს, რომ თანამედროვე სპარსული ლიტერატურა მსოფლიოში არ არის იმდენად პოპულარული და დაფასებული, რამდენადაც, შესაძლოა, იმსახურებდეს.

ამ მოვლენას, მის სავარაუდო მიზეზებსა და გარემოებებს აქტიურად იკვლევენ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები ირანშიც და დასავლეთის ქვეყნებშიც.

წინამდებარე სტატიის მიზანია, ორი თანამედროვე რომანის შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე დაადგინოს, რა როლს ასრულებენ ირანში მოქმედი სახელმწიფო საგრანტო პროექტების მიერ დაფინანსებული მთარგმნელობითი ცენტრები ან სააგენტოები მსოფლიოში სპარსული ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეში.

კვლევამ აჩვენა, რომ, არსებული პოლიტიკური რეჟიმის გათვალისწინებით, ირანის მთარგმნელობით-საგამომცემლო სააგენტოების საქმიანობა წინასწარვე წარუმატებლობისთვისაა განწირული. თითქმის შეუძლებელია, დასავლეთმა მიიღოს და წახალისოს ის ლიტერატურა, რომელიც ნებადართულია ოფიციალური ირანის მიერ. ასევე, გამორიცხულია, რომ ირანის ოფიციალურმა ინსტიტუციებმა თარგმნონ და დასავლურ სამყაროს მიაწოდონ მისთვის მისაღები ლიტერატურული პროდუქცია.

დასავლური სამყაროს მასობრივი მკითხველის დაკვეთის გათვალისწინებით, ირანის ხელისუფლებისთვის მიუღებელი რომანი, ემიგრანტი მწერლის შექუფე აზარის „ალუჩის ხის ემანაცია“, ბუნებრივად მოხვდა აზიური ბუკერის პრემიის მოკლე სიაში. მწერალი თითქოს დასახულ მიზანს და შედგენილ გრაფიკს მიჰყვება იმ საკითხების ჩამონათვალთ, რაც აღმოსავლეთის ტოტალიტარული სახელმწიფოებიდან ემიგრირებულ მწერალს მოეთხოვება, რათა დასავლეთის ლიტერატურულ წრეებში ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს.

ებრაჰიმ ჰასანბეიგის რომანი კი, „ეკლესიის ზარები რეკას იწყებენ“, რომელიც ირანის მთარგმნელობითი სააგენტოს მიერ დასაფინანსებელი წიგნების ჩამონათვალშია შესული, გამოკვეთილად ისლამური რევოლუციის სარეკლამო ბანერს წარმოადგენს და დასავლური სამყაროსთვის სრულიად უინტერესოა.

ამ ორი რომანის შეპირისპირებითი ანალიზი ცხადჰყოფს, თუ რატომ არის ირანის კულტურისა და ისლამური დამოძღვრის სამინისტროს მიერ დაფინანსებული საგრანტო-მთარგმნელობითი პროექტები წიგნის საერთაშორისო ბაზრისთვის უმოქმედო.

რა თქმა უნდა, ძნელია მტკიცება, რომ საერთაშორისო ბაზარზე თანამედროვე სპარსული მხატვრული ლიტერატურის არაპოპულარობის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ მთარგმნელობითი ცენტრების იდეოლოგიური ფუნქციაა, მაგრამ ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად კი მისი მიჩნევა უპირობოდ შეიძლება.

საკვანძო სიტყვები: ისლამური ირანი, ორი თანამედროვე სპარსული რომანი, რეკლამა და ანტირეკლამა.

შესავალი. წიგნის საერთაშორისო ბაზრის კვლევა გვიჩვენებს, რომ თანამედროვე სპარსული ლიტერატურა მსოფლიოში არ არის იმდენად პოპულარული და დაფასებული, რამდენადაც, სავარაუდოდ, იმსახურებს.

ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ, არაერთი კინოკონკურსის გამარჯვებული ირანული კინოსგან განსხვავებით, ლიტერატურის დარგში ამგვარი ჯილდო ბოლო ხანებში არცერთ სპარსულ ლიტერატურულ ნაწარმოებს არ მოუპოვებია.

ამ მოვლენას, მის სავარაუდო მიზეზებსა და გარემოებებს აქტიურად იკვლევენ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები ირანშიც და დასავლეთის ქვეყნებშიც. ეს საკითხი ნამდვილად არის ცალკე შესწავლის საგანი, რომელიც სიღრმისეულ ანალიზს მოითხოვს, თუმცა ჩემი დღევანდელი სტატიის თემას არ წარმოადგენს.

აქ სხვადასხვა ქვეყანაში შექმნილი ეროვნული ლიტერატურის საერთაშორისო ბაზარზე გატანის იმ უმნიშვნელოვანეს და ეფექტურ საშუალებებზე მინდა ვისაუბრო, რომლებსაც სახელმწიფო საგრანტო პროექტების მიერ დაფინანსებული მთარგმნელობითი ცენტრები ან სააგენტოები ჰქვია და რომლებიც ირანშიც არსებობს. სწორედ ამ სააგენტოების დანიშნულებას სპარსული ლიტერატურის ექსპორტი და მისი პოპულარიზაცია მსოფლიოში. ამდენად, საინტერესოა, რამდენად ასრულებენ ეს ცენტრები დაკისრებულ ფუნქციას და, თუ ვერ ან არ ასრულებენ, რატომ?! დასმული ამოცანა განხილულია ორი, იდეური ჩანაფიქრითა და მიზნობრივი სულისკვეთებით ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული, თანამედროვე სპარსული რომანის შეპირისპირებითი ანალიზის ფონზე.

მეთოდები. სტატიაში გამოყენებულია კვლევის კომპლექსური მეთოდი, რომელიც რამდენიმე სხვადასხვა სახის კვლევას აერთიანებს:

1. დაკვირვების მეთოდი - საერთაშორისო ბაზარზე სპარსული ლიტერატურის პოპულარობისა თუ არაპოპულარობის გამოვლენა და მასთან კავშირში მთარგმნელობითი ცენტრების აქტიური ფუნქციის განსაზღვრა;

2. კომპარატივისტული მეთოდი - სხვა ქვეყნების ლიტერატურების უფრო მეტი პოპულარობის კავშირის დადგენა მთარგმნელობითი ცენტრების აქტიურ მუშაობასთან;

3. დედუქციური ანალიზის მეთოდი: სტატიაში წარმოდგენილი ორი კონკრეტული სპარსული რომანის ანალიზი ნაჩვენებია ზოგადი საბაზრო მოთხოვნილების გათვალისწინებით - პოლიტიკურ-იდეოლოგიური დაკვეთის ჭრილში, რამდენადაც პოლიტიკურ-იდეოლოგიური ატმოსფერო, როგორც წესი, განსაზღვრავს კიდეც საერთო საბაზრო მოთხოვნილებას.

მსჯელობა და შედეგები. ჩამოთვლილი მეთოდების გამოყენების საფუძველზე იკვეთება კვლევის შედეგები, რომლებიც მკაფიოდ გვაჩვენებს, რომ ირანის მსგავს ტოტალიტარულ ქვეყანაში მთარგმნელობითი ცენტრების ფუნქციონირებას მხოლოდ ფორმალური ხასიათი შეიძლება ჰქონდეს, რადგან ლიტერატურული ნაწარმოებისადმი წაყენებული მოთხოვნები ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ რადიკალურად განსხვავებულია.

სამწუხაროდ, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ, ირანში არსებული პოლიტიკური რეჟიმის გათვალისწინებით, ამგვარი სახელმწიფო პროექტები და მათ მიერ დაფინანსებული თუ დასაფინანსებელი სააგენტოების საქმიანობა წინასწარვე წარუმატებლობისთვისაა განწირულია. ირანის სახის „საშინაო“ და „საგარეო“ პრეზენტაცია იმდენად განსხვავებულია ერთმანეთისგან, რომ შეუძლებელია, დასავლეთმა მიიღოს ის, რაც ნებადართული და მიღებულია ოფიციალური ირანის მიერ და პირიქით, გამორიცხებულია, რომ ირანის ოფიციალურმა ინსტიტუციებმა თარგმნონ და დასავლურ სამყაროს მიაწოდონ მათთვის მისაღები ლიტერატურული პროდუქცია. ასეთი პროდუქცია თუმცა იქმნება ირანში, მაგრამ ოფიციალური წრეებისა და ცენზურის გვერდის ავლისა და საამისო გზების მიერ ნარეკლიანი პერიპეტიების შედეგად თუ აღწევს წიგნის ბაზრამდე.

თანამედროვე ირანს ჰყავს კარგი მწერლები, რომლებიც ღირებულ ლიტერატურას ქმნიან, თუმცა ისინი არ ფასდებიან არც სამშობლოში და არც მის ფარგლებს გარეთ.

სამშობლოში იმიტომ, რომ ირანული ცენზურა პოლიტიკურ-რელიგიურ ცხრილში ატარებს ყოველ სტრიქონს და სტრიქონებს შორის მიჩქმალული ქვეტექსტებიც კი ზედმეტად და მიუღებლად მიაჩნია. დასავლეთში კი იმიტომ, რომ ქვეტექსტებში მიმალული სათქმელის ძებნა თანამედროვე მასობრივ მკითხველს დამღლეად და უკმარისად ეჩვენება. მისთვის გახსნილი, ღია ნარატივი უფრო მისაღებია, ვიდრე სიმბოლოებსა და მეტაფორებში, ქვეტექსტებსა და ალუზიებში შეფუთული პრობლემები.

ვფიქრობ, სწორედ ამგვარი დამოკიდებულების გამოა, რომ ერთსა და იმავე თემატიკაზე შექმნილი და, პრაქტიკულად, ერთი ფაზულისა და სიუჟეტური ხაზის მქონე ორი ნაწარმოები, შირინ ებადის „ოქროს გალია“ და მაჰმუდ დოულათაბადის „პოლკოვნიკის მიმწუხრი“, მსოფლიოში ერთმანეთის საპირწონედ არ განიხილება. შეიძლება ითქვას, რომ მასობრივი მკითხველის გემოვნებაზე გათვლილი „ოქროს გალია“ პოპულარულ საკითხავად იქცა სხვადასხვა ენაზე, ხოლო მაღალი ლიტერატურის კუთვნილება - „პოლკოვნიკის მიმწუხრი“ - მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეებისა და ხელოვნების დამფასებელი აუდიტორიისთვისაა ნაცნობი და საინტერესო.

ამის გათვალისწინებით, არაა უცნაური, რომ „პოლკოვნიკის მიმწუხრი“ აზიური ბუკერის პრემიის მოკლე სიაშიც კი ვერ მოხვდა, თუმცა მისი ლიტერატურული ღირებულება ნამდვილად იძლეოდა ამის საფუძველს. ეს რომანი, დაუფასებელი დასავლეთში ისლამური რევოლუციის „არასაკმარისად ღია გაკილვის გამო“, კიდევ მეტად დაუფასებელი დარჩა საკუთარ სამშობლოში იმავე რევოლუციის „შეუფარავი და ღია კრიტიკის“ მიზეზით.

ეს გახლავთ დღევანდელი რეალობა, დამკვიდრებული საერთაშორისო წიგნის ბაზარზე, რომელსაც, ცხადია, პოლიტიკური დაკვეთა, გემოვნება თუ სიტუაცია განაპირობებს.

დღევანდელი ჩემი სტატიაც ამ საკითხის ერთგვარი ილუსტრაცია იქნება: ერთი რომანი, სრულიად მიუღებელი ისლამური ირანის შიგნით, მაგრამ დაფასებული და წახალისებული უცხოეთში; და მეორე: შიიტური ირანის აპოლოგეტი და „სარეკლამო ბანერი“, რომელიც უინტერესო და მიუღებელია ქვეყნის გარეთ.

ამ ორი რომანის სათაურებია „ალუჰის ხის ემანაცია“ და „ეკლესიის ზარები რეკას იწყებენ“. პირველის ავტორი გახლავთ შექუფე აზარი, დღესდღეობით ავსტრალიაში მცხოვრები ირანელი მწერალი და მხატვარი. მისი სპარსულად დაწერილი რომანი, რომელიც ინგლისურად ითარგმნა, აზიური ბუკერის პრემიის მოკლე სიაში მოხვდა და დიდი გამოხმაურებაც ხვდა წილად.

2020 წლის საკონკურსო ჟიურის წევრები თავიანთ დასკვნაში წიგნის შესახებ წერდნენ: „შექუფე აზარის „ალუჰის ხის ემანაცია“ ღრმა შინაარსის მქონე ნაწარმოებია იმის შესახებ, თუ როგორია ცხოვრება და როგორი უნდა ყოფილიყო ის. რომანი მოგვითხრობს ოჯახზე, რომელიც დაიქსაქსა და რომლის ყველა წევრი სხვადასხვა გარემოებაში განადგურდა, როცა ისლამური რევოლუციისგან თავის დახსნას ცდილობდა... რომანი თუმცა პოეტური და მაგიური ენითაა დაწერილი, მაგრამ რეალურად მწერლის სამშობლოში დამკვიდრებული პოლიტიკური სისასტიკის თაობაზე მოგვითხრობს“ (Hesabi, 2021).

ებრაჰიმ ჰასანბეიგის რომანს „ეკლესიის ზარები რეკას იწყებენ“ პრემია არც ირანში აუღია, ამდენად, ვერ გეტყვით, რას ჩაწერდნენ კონკურსის ჟიურის წევრები თავიანთ დასკვნაში. მაგრამ შემიძლია შემოგთავაზოთ თავად მწერლის გულწრფელი აღიარება რომანის ჩანაფიქრისა და დაწერის ისტორიის შესახებ, რომელიც მან წიგნის განხილვისას წარმოადგინა.

„1988 წლის შემდეგ ირანში ღრმა პოლიტიკური კრიზისის მოწმენი გავხდით. ბევრმა მომმართა თხოვნით, რომ საჭირო იყო, როგორც მწერალს, საკუთარი მოსაზრება გამომეთქვა მიმდინარე საზოგადოებრივი პრობლემების თაობაზე და 1979 წლის ისლამური რევოლუცია და რელიგია დამეცვა. ეს წიგნი ჩემი პოლიტიკური

შეხედულებების დემონსტრაციაა, გულწრფელი სიტყვებით გამოხატული“ (Hassan Beigi, 2020).

რომანი 2016 წელს გამოქვეყნდა და, თუ ჩვენს ხელთ არსებულ, 2022 წლის, გამოცემას ვერწმუნებით, სამოცდამეათედ გამოიცა. მართალია, გამოცემის ტირაჟი სულ 2000 ეგზემპლარს შეადგენს, რაც ირანისთვის ძალიან მცირე რაოდენობაა, მაგრამ ვფიქრობ, ექვსი წლის ინტერვალში წიგნის 70-ჯერ გამოცემა სახუმარო საქმე არ არის.

შექუფე აზარი - მწერალი ქალი - ირანშიც, ემიგრაციამდე, წერდა მოთხრობებს და ერთი კრებულის აქვს გამოქვეყნებული, თუმცა „ალუჩის ხის ემანაცია“ მისი პირველი რომანია. წიგნის ინგლისურად მთარგმნელის სახელი უცნობია. მწერლის თქმით, ირანში მცხოვრები მისი ოჯახისა და პირადად მისივე უსაფრთხოების მიზნით.

თავად შექუფე აზარი კანონზომიერად მიიჩნევს ბუკერის კონკურსის მოკლე სიაში მოხვედრას და აღნიშნავს, რომ ჟიურის პროფესიონალიზმი ექვს შეიტანდა, ასე რომ არ მომხდარიყო.

თუ გავითვალისწინებთ საერთაშორისო წიგნის ბაზრის კვლევის შედეგებს და მასობრივი მკითხველის დაკვეთის ხასიათს, შექუფე აზარის რომანი არათუ მოკლე სიაში უნდა მოხვედრილიყო, არამედ ეს პრემია უნდა აეღო კიდევ. მწერალი თითქოს დასახულ მიზანს და შედგენილ გრაფიკს მიჰყვება იმ საკითხების ჩამონათვალთ, რაც, დაუწერელი კანონების მიხედვით, აღმოსავლეთის ტოტალიტარული სახელმწიფოებიდან ემიგრირებულ მწერალს მოეთხოვება საიმისოდ, რომ დასავლეთის ლიტერატურულ წრეებში ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს.

საინტერესოა, რომ ინტერვიუში, რომელშიც მწერალი ავსტრალიური წიგნის ბაზრის შუქ-ჩრდილებს ანალიზებს, ერთ-ერთ ნაკლოვან მხარედ შემდეგ ფაქტორს ასახელებს: „მწერლებს ერთნაირი სტილი აქვთ, არავითარი მრავალფეროვნება. მაგალითად, აქ (ავსტრალიაში) გამოკითხვა ჩატარდა ერთსქესიანთა ქორწინების თაობაზე. ამის შემდეგ დაწერილ წიგნებში თითქმის ყველა ავტორს ერთი-ორი ასეთი პერსონაჟი ჰყავდა გამოყვანილი. ახლა ბევრმა დაიწყო წერა კორონავირუსზე. ეს კი ლიტერატურაზე ძალიან ზერელე შეხედულებაა. ლიტერატურა ხესავითაა, ფართო და გაშლილი თვალსაწიერი უნდა ჰქონდეს. გაზეთით და პურივით მხოლოდ დღესა და ხვალეს არ უნდა სწვდებოდეს“ (Hesabi, 2021).

თუმცა ამ სიტყვების ავტორი თითქოს თავადვე არღვევს საკუთარი აზრისა და სიტყვის ლოგიკას, როცა ისე აგებს რომანს, რომ უნებურად ჩნდება ეჭვი, ხომ არ იყო ის დასავლურ დაკვეთაზე გათვლილი და პრემიის მიღებაზე ორიენტირებული?!

რომანი, რომელიც მაგიური რეალიზმის მხატვრული პრინციპებითაა აგებული და ტექსტისა და ქვეტექსტის ორ შრეს მოიცავს, ისლამური ირანის დღევანდელი მდგომარეობის აღწერას წარმოადგენს. შექუფე აზარი ამის თაობაზე წერს: „რომანის ძირითადი მარცვლი პოლიტიკური ამბებია, განსაკუთრებით, 89 წლის ზაფხულის დახვრეტები, თუმცა ეს ყველაფერი ზღაპრისეულ შრეებშია მიმალული“ (Qafarzadeh, 2020).¹

რომანი ისლამური რევოლუციის ყალბად სახალხო ხასიათის, „მასობრივი დაკვეთისა“ და „საზოგადოებრივი მნიშვნელობის“ წინააღმდეგაა მიმართული და სრულიად შეუფარავად და ღიად საუბრობს ამაზე. ირონია იგრძნობა ოფიციალური წრეების განცხადების გამო, რომ ამ რევოლუციაში აიათოლა ხომეინის მოსახლეობის 98 % უჭერდა მხარს. არადა, პროვინციებისა და სოფლების უმრავლესობაში ადამიანებს არათუ არჩევნებში არ მიუღიათ მონაწილეობა, არამედ ხომეინის ვინაობის შესახებაც კი არაფერი სმენიათ; არც ირან-ერაყის ომი გაუგიათ, არც „დაუმინებელ მტერს“ - ამერიკას - იცნობენ და არც რევოლუციაზე აქვთ წარმოდგენა.

¹ 1989 წლის ზაფხულის დახვრეტები - 1989 წლის ზაფხულში ისლამური რევოლუციის ბელადის, აიათოლა ხომეინის, ბრძანებით, ირანის მასშტაბით რამდენიმე ათასი პოლიტკატიმარი დახვრეტეს ფარულად და საერთო საფლავებში დამარხეს. დახვრეტილთა რაოდენობა, სხვადასხვა წყაროს მიხედვით, 2-დან 5 ათასამდე მერყეობს.

„1979 წლის რევოლუციის ამბავმა რაზანამდე რვა წლის შემდეგ მოაღწია. იმ მასწავლებლის მეშვეობით, ახლა რომ იარაღასხმულ და წვერმოშვებულ გუშაგად ქცეულა... მან გვითხრა, რომ ბელადმა ხომეინიმ ამერიკასთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა ბრძანა; რომ ერაყი თავს დაესხა ირანს და ახლა ყველა ახალგაზრდა კაცი და ბავშვიც კი ისლამურ წმინდა ომში იბრძვის. ერთმა ბერიკაცმა ჰკითხა: „კი მაგრამ, ერაყი სადაა? ამერიკა ვინაა?“ (Azar, 2017: 84).

„ალუჩის ხის ემანაცია“ არათუ ისლამური რევოლუციისა და ისლამური ირანის, არამედ, ფაქტობრივად, თავად ისლამის წინააღმდეგ მიმართული რომანიც კია.

რომანში მთელი თავი ეძღვნება რევოლუციის ბელადის, აიათოლა ხომეინის, პერსონაჟს. მისთვის მოწყობილ მიწისქვეშა სარკეებიან ლაბირინთში ჩარჩენილი ხომეინი სიცოცხლის ბოლოს წარმოსახვით დიალოგს მართავს პატარა ბიჭთან, რომელშიც რევოლუციის ბელადისა და ისლამური რევოლუციის „მასშტაბურობა და მნიშვნელოვნება“ ბავშვის ერთი ირონიული შეკითხვით - „რატომ“ - ქარწყლდება.

„ბავშვმა ჰკითხა: „შენ ვინა ხარ?“ ხომეინიმ, თითქოს მოპირდაპირე სარკეში საკუთარი გამოსახულების დანახვამ ძალა და თავდაჯერებულობა შეჰმატა, უპასუხა: „მე ის ვარ, ვისაც მილიონობით ადამიანმა მისცა ხმა; ის ვარ, ვინც რვაწლიანი ომი მართა; ის ვარ, ვისაც ისლამი მსოფლიოს ყველა კუთხეში გააქვს“... ბიჭუნამ ჩაიცინა და ჰკითხა: „რატომ?“ ხომეინიმ უთხრა: „იმიტომ, რომ ისლამი მსოფლიომ უნდა აღიაროს!“ ბიჭმა ისევ ჰკითხა: „რატომ?“ ხომეინიმ უპასუხა: „იმიტომ, რომ ისლამი ყველაზე სრულყოფილი და უნაკლო რელიგიაა“. ბავშვმა კვლავ ჰკითხა: „რატომ?“ ხომეინი წამოჭარხლდა და უთხრა: „რას ჰქვია „რატომ?“ ჰკუა არა გაქვს, თორემ მიხვდებოდი, რომ ამ შეკითხვას პასუხი არ სჭირდება“. ბავშვმა ამჯერადაც წყნარად, მაგრამ ჯიუტად ჰკითხა: „მერედა, რატომ?“ (Azar, 2017: 79-80).

შექუფე აზარის რომანში ხომეინის სახე გააზრებულია არა მხოლოდ ერთი კონკრეტული იდეოლოგიისა და რევოლუციის ბელადად, არა ერთი კონკრეტული ეპოქისა და ქვეყნის უბედურებად, არამედ წარმოდგენილია დიქტატორისა და ტირანის განზოგადებულ სახედ.

„სამი თვე გავიდა, სანამ მის აყროლებულ, გახრწნილ ცხედარს მიაგნებდნენ. გზა სიმყრალემ მისაწავლა. იმ სიმყრალემ, რომელიც, საბოლოო ჯამში, ყოველი დიქტატორის არსებიდან გამოდის“ (Azar, 2017: 80).

ზემოთქმულიდან, ვფიქრობ, აშკარად ჩანს, რომ შექუფე აზარის რომანი პოლიტიკურ-რელიგიური კუთხით სრულად აკმაყოფილებს დასავლელი მკითხველის შეხედულებას აღმოსავლური ტოტალიტარული სახელმწიფოს შესახებ და, ბუნებრივია, აბსოლუტურად მიუღებელია ისლამური ირანის ოფიციალური წრეებისთვის.

მეორე საკითხი, რომელიც სხვადასხვა სპექტრში განიხილება რომანში, გახლავთ ასევე მნიშვნელოვანი და დღესდღეობით ყურადღების ცენტრში მოქცეული ე.წ. გენდერული პრობლემატიკა. განსაკუთრებით, ქალის საკითხი, მასზე ძალადობა, ქალის მიერ იდენტობის ძიება და ამ გზაზე წარმოქმნილი ბარიერები...

თუმცა ჩემი დღევანდელი სტატიის პრობლემას, ძირითადად, რომანის თემატური სპექტრი წარმოადგენს, მაგრამ ორიოდ სიტყვით მაინც შევეხები მის მხატვრულ მხარესაც. კერძოდ, მინდა აღვნიშნო, რომ სწორედ გენდერული პრობლემის, „ქალის საკითხისა“ და მასთან ურღვევ კავშირში მყოფი „მამაკაცის ფაქტორის“ გაშლისას ავლენს შექუფე აზარი სამწერლო პროფესიონალიზმს.

რომანში არის პასაჟები, რომლებშიც დამაჯერებლად და საინტერესოდ იკვეთება ქალის მიმართება სამყაროსადმი, ჩნდება თითქოსდა მარტივი ადამიანური სურვილები, რომელთა ასრულებას აღმოსავლეთის ტოტალიტარულ ქვეყანაში უამრავი ბარიერი ეღობება. პოლიტიკურსა და რელიგიურ ჩარჩოებს სრულიად ბუნებრივად ემატება პატრიარქალური ცნობიერების დაუძლეველი მარწუხი, რომელიც ქალისა და მამაკაცის უფლებების დაუსაზამო, ემანსიპაციის ეპოქაში თითქოს დაძლეულ, მაგრამ, რეალურად,

მაინც გადაულახავ „განსხვავებულობას“ აშიშვლებს - მამაკაცის უფლებრივ დიქტატსა და ქალის უუფლებო სტატუსს.

ქალთევზად ქცეული გოგონა ბითა, თავის დროზე პოლიტიკურ ვნებათაღელვას გარიდებული და ზღვის თავისუფალსა და თვალუწვდენელ სივრცეს შეხიზნული, წლების შემდეგ, ახლობლების მონახულების მტანჯველი სურვილით შეპყრობილი, ზღვიდან ნაპირზე გამოსვლას ბედავს და უმაღვე მეთევზე კაცების ალყაში მოექცევა:

„ახალგაზრდა კაცმა ბითას საკოცნელად გაიწია... ცალი ხელით თავისი ასო ამოაძვრინა, მეორე ხელი კი ბითას ვერცხლისფერ ფარფლებს მოუფათურა, სავსე მთვარესავით რომ ანათებდა... რამდენიც არ უსვა და უფათურა თითები, ვერაფერი უპოვა... ზედ მოაჯდა და ბრაზმორეული ცნობისმოყვარეობით თვალთერება დაუწყო. ბოლოს წამოხტა და დაიძახა: „არავითარი ხვრელი არა აქვს!“

კაცები აყვირდნენ: „მოკალი, მოკალი!“ მათ კი, რომლებიც დუმდნენ და ბითას მოკვლის სურვილს არ ამჟღავნებდნენ, მობილურები ამოიღეს და გადაღება დაიწყეს“ (Azar, 2017: 226-227).

ძალადობის თემასთან ერთად რომანში ირანში ტაბუირებული კიდევ ერთი - ქალის პიროვნების, მისი იდენტობის ძიების - თემა შემოდის: ქალის ფიზიოლოგიური სურვილების ჩვენება ალუზიებისა და მეტაფორების გარეშე - ღიად და ხმამაღლა. ისე, როგორც ეს დასავლურ ლიტერატურაში ხდება და დღესდღეობით მხატვრული ტექსტის ერთ-ერთ აუცილებელ მახასიათებლადაც აღიქმება.

„დღითა და ღამით ესიყვარულებოდნენ ერთმანეთის სულსა და ხორცს... ბიჭი თავისი სოფლური, დაკუნთული სხეულით კარვად დასდგომოდა ბითას თხელ, ნატანჯ სხეულს და ისე ძლიერად იხუტებდა ტანზე, თითქოს წამითაც არ აპირებდა მის მოშორებას. ასეც იყო. ტრფიალებისას იშვიათად ეტყოდა რამეს. და, თუ ეტყოდა, მხოლოდ ამას: „მინდა, შევიდე შენში და იქ დავრჩე...“ (Azar, 2017: 126).

რომანის კითხვისას თანდათან ჩნდება წინასწარი განწყობა თუ მოლოდინი, რომ კიდევ რომელიმე აკრძალული და ტაბუირებული თემა შემოვა თხრობის მსვლელობაში. და აი, მოლოდინის გასამართლებლად შექუფე აზარს რომანში უმცირესობების საკითხიც შემოაქვს, კერძოდ კი, ისლამურ სახელმწიფოში ყველაზე მიჩქმალული და დაფარულ-დასაფარი - სექსუალური უმცირესობების თემა. მართალია, წიგნის ლესბოსელი პერსონაჟი უარყოფითი პიროვნებაა და მკითხველის თანაგრძნობას არ იწვევს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ასეთი პერსონაჟი გამოჩნდა და ადგილიც დაიმკვიდრა თანამედროვე სპარსულ ლიტერატურაში, თუნდაც ემიგრანტულში.

რომანის თემატური სპექტრი ნამდვილად ქმნის ერთგვარ წინასწარ განწყობას საიმისოდ, რომ ისლამური ირანის ტოტალიტარული, ადამიანის უფლებების ყოველმხრივ შემზღველადვი მარწუხების ტყვეობიდან თავდახსნილმა ქალმა მწერალმა, რომლის რომანი ყოველივე ამის ილუსტრირებას წარმოადგენს, ბუკერის პრემია დაიმსახუროს. პრემია თუ არა, საკონკურსო მოკლე სიაში საპატიო ადგილის დამკვიდრება - უპირობოდ.

შექუფე აზარის რომანში ნამდვილად არის მხატვრულად ძლიერი ადგილები, მთელი თავებიც კი, რომელთაც გამოცდილი და პროფესიონალი მწერლის ხელი ეტყობა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ძალიან ხშირად თანამედროვე სპარსული პროზის არეალში შექმნილი ბევრად უკეთესი ნაწარმოებები სამშობლოშიც და მის ფარგლებს გარეთაც მკითხველთა ფართო წრის ყურადღების მიღმა რჩება. რომ აღარაფერი ვთქვათ კონკურსების ჟიურის გულგრილ დამოკიდებულებაზე მათ მიმართ. ამიტომ ჩნდება ეჭვი, რომ სწორედ დამკვიდრებული სტერეოტიპული შეხედულება, რომელსაც ნაკლები კავშირი აქვს ხელოვნების ნაწარმოებისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან და ბევრად მეტი - პოლიტიკასთან, ქმნის დღევანდელი ჯილდოების მფლობელთა წყებას.

ეს მიმართება ერთნაირად ეხება როგორც საერთაშორისო, ასევე, შიდასახელმწიფოებრივ ჯილდოებს.

ტოტალიტარულ სახელმწიფოებშიც არსებობს შიდა ჯილდოები, რომელთა მფლობელებიც კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკურ დაკვეთას უზრუნველყოფენ. ასეთ მწერალთა რიგს ეკუთვნის ჩემი დღევანდელი სტატიის მეორე ობიექტი - ირანელი მწერალი ებრაჰიმ ჰასანბეიგი რომანით „ეკლესიის ზარები რეკას იწყებენ“.

თუმცა კონკრეტულად ამ რომანს ჯერჯერობით ირანის არცერთი ჯილდო არ აუღია, თავად მწერალი არაერთი ირანული პრემიის მფლობელია.

ჰასანბეიგის თაობაზე ირანული ვიკიპედია იუწყება:

„ებრაჰიმ ჰასანბეიგიმ წერა 1979 წლის რევოლუციის შემდეგ დაიწყო. მისი წიგნები უმეტესად ირან-ერაყის ომს, ირანის რევოლუციასა და რელიგიურ თემებს ეხება“.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ებრაჰიმ ჰასანბეიგი არათუ არ მალავს რომანის იდეოლოგიურ სულისკვეთებას, არამედ მისი გამომზეურება ბუნებრივ და საშურ საქმედაც მიაჩნია.

რამდენადაც შექუფე აზარის რომანი ისლამური ირანის ანტირეკლამად აღიქმება, ჰასანბეიგის წიგნი ისლამური ირანის სარეკლამო ბანერად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

როგორც აღვნიშნე, რამდენიმე წელია, რაც ირანის ისლამურ რესპუბლიკაში არსებობს მთარგმნელობით-საგამომცემლო საგრანტო პროგრამები, რომელთაც ირანის კულტურისა და ისლამური დამოდღვრის სამინისტრო აფინანსებს.

უკვე არაერთი წელია, რაც ამგვარი პროექტების ფარგლებში სხვადასხვა ქვეყნის სამინისტროებთან და საგამომცემლო ცენტრებთან აქტიურად თანამშრომლობენ ქართველი მთარგმნელებიც და ქართული გამომცემლობებიც.

სამწუხაროდ, ირანში შექმნილი ლიტერატურული პროდუქცია ამ პროგრამის ფარგლებში ჩვენში დღემდე არ გამოცემულა. ყოფილა შემთხვევები, როცა გამომცემლობასა და დამკვეთს შორის პირველადი ხელშეკრულება გაფორმებულა, მაგრამ საქმე ამაზე შორს აღარ წასულა. საქმე ისაა, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკა სამიზნე ქვეყნების გამოცემლობებს თავად უგზავნის წიგნების ჩამონათვალს, რომლიდანაც სასურველი წიგნი უნდა შეირჩეს. ეს პირობა უკვე იმდენად დიდ შეზღუდვას უწესებს მთარგმნელს, რომ დამკვეთისა და შემსრულებლის მიზნების თანხვედრა, პრაქტიკულად, შეუძლებელი ხდება.

ებრაჰიმ ჰასანბეიგის რომანიც „ეკლესიის ზარები რეკას იწყებენ“ ისლამური დამოდღვრის სამინისტროს მიერ შერჩეულ სიაში გახლდათ. დარწმუნებით ძნელია მტკიცება, როგორ წარიმართებოდა თარგმანის ბედი, დაფინანსდებოდა თუ არა ირანის მხარის მიერ წიგნის გამოცემა, გამომცემლობისა და პოტენციური მთარგმნელის არჩევანი ამ რომანზე რომ შეჩერებულიყო. სავარაუდოდ, ასე მოხდებოდა.

დღევანდელ ჩემს სტატიაში მინდა ვაჩვენო მკითხველს, თუ როგორ განიხილავენ ისლამური ირანის მესვეურები ხელოვნების სხვადასხვა დარგის, ამ კერძო შემთხვევაში, ლიტერატურის, როლს იდეოლოგიური სფეროს სტაბილიზაციისა და რეკლამირების საქმეში.

თემაც და ფორმაც რომანისა კარგად არის გააზრებული. ეს არ გახლავთ ისლამის, კერძოდ კი, შიიზმის შიშველი და შეუფარავი ხოტბა. თუმცა რომანის წამყვანი და ერთადერთი იდეა შიიტთა პირველი იმამის - ალისა და, აქედან გამომდინარე, შიიზმის აპოლოგიაა, ეს იდეა დეტექტიური ჟანრის თხრობაშია შეფუთული, საკმაოდ მარტივ და მსუბუქ საკითხავს წარმოადგენს და, ამდენად, მასობრივი მკითხველის ფართო აუდიტორიაზეა გათვლილი.

ცხადია, რომანის შინაარსის მოყოლას არ ვაპირებ, თუმცა რამდენიმე სიტყვის თქმა ფაბულის თაობაზე მაინც მომიწევს, რათა ცხადი გახდეს წიგნის ჩანაფიქრი და დანიშნულება:

რომანის მთავარ პერსონაჟს, მოსკოვის ერთ-ერთი მართლმადიდებლური ტაძრის წინამძღვარს, რუს მღვდელს ხელში ძველი ხელნაწერი, შიიტთა პირველი იმამის, შიიტური მოძღვრების ფუძემდებლის - ალის - ქადაგებები ჩაუვარდება. მღვდელი ალის კეთილშობილური და კაცთმოყვარე მოღვაწეობის გავლენის ქვეშ მოექცევა და მის შესახებ

უამრავი ლიტერატურის კითხვას იწყებს. მკითხველი, მართლმადიდებელი მღვდლის კვალდაკვალ, ალის პიროვნებისა თუ რელიგიური შეხედულებების თაობაზე სხვადასხვა ეროვნების მეცნიერების აღტაცებულ გამოხმაურებებს ეცნობა. ჰასანბეიგი ასახელებს რეალურად არსებულ წიგნებს, ავტორებს, მოიხმობს ციტატებს მათი ნაშრომებიდან.

რომანის ნარატივი თითქოს მარტივია, სათქმელიც - უწყინარი, ტოლერანტული და საყოველთაო. პოსტულატები, რომლებიც ნებისმიერი რელიგიის საფუძველში დევს: ჭეშმარიტი ცხოვრება კეთილის ქმნაში, ღვთის გზაზე სიარულში, სამართლიან არსებობაში მდგომარეობს.

მაგრამ, როდესაც მართლმადიდებელი მღვდლისგან ვისმენთ, რომ შიიტური მოძღვრების წინამძღოლი ალი ერთი რელიგიის ჩარჩოებში ვერ ეტევა; რომ ადამიანმა ერთ რელიგიას კი არ უნდა შემოარტყას მესერი, არამედ ღობე უნდა გაანგრიოს, ეს ქრისტიანი მღვდლის თვალსაწიერის ზოგად სივრცელედ კი არ აღიქმება, არამედ - შიიტურ პროპაგანდად, რადგან მისი „ვიწრო-ქრისტიანული“ მესერი ალის ქადაგებებმა „ისლამური სივრცეებით“ „გააფართოვა“.

რომანი, გარკვეულწილად, დიალოგურ პრინციპზეა აგებული. ჯერ კიდევ კლასიკურ სპარსულ პოეზიაში გავრცელებული „მუნაზარე“ ქართველი მკითხველისთვისაც კარგად ნაცნობი ლიტერატურული ჟანრია. აღორძინების პერიოდის არაერთ ქართველ პოეტს აქვს ამ ტიპის პოემები, სადაც ორი მოსაუბრე კონტრასტის გზით ცდილობს საკუთარი პრივილეგიის წარმოჩენას. ებრაჰიმ ჰასანბეიგის რომანშიც ასე ხდება: შიიტური მოძღვრებით შთაგონებულ მღვდელს ოპონენტს ჰყავს შვილის სახით, თუმცა მათ კამათში, ცხადია, დომინანტი მუდამ მამა და მისი არგუმენტებია. მამა ამბობს, ეკლესიაში ქადაგებებზე ალის ციტატების მოშველიებას ვაპირებო. შვილი შეშფოთდება, ეს ხომ ისლამის პროპაგანდა იქნებაო. მამა კი პასუხობს: „არა, ეს გულის სიმშვიდეა. სიტყვა, რომელიც ხალხს გულს დაუმშვიდებს“ (Hassan Beigi, 2022: 92).

შვილი ეკამათება, ეკლესიაში ალის ხსენება ხომ არ შეიძლებაო! მამა ამბობს: „ხსენება რა საჭიროა. საკმარისია, ეს სიტყვები ხალხის ყურს მოხვდეს და გავლენა იქონიოს!“ (Hassan Beigi, 2022: 94).

რომანში ნებისმიერი რელიგიური აღმსარებლობისთვის დამახასიათებელი საყოველთაო სიკეთე განსაკუთრებით ძლიერად და შთამბეჭდავად მაინცდამაინც და მხოლოდ და მხოლოდ ალის პიროვნებაშია თავმოყრილი და სწორედ ამიტომ წარმოადგენს ჰასანბეიგის წიგნი შიიზმის ღია პროპაგანდას. მაგრამ ავტორი უფრო შორს მიდის და მართლმადიდებელი მღვდლის იდეურ-რელიგიური „გადმობირების“ შემდეგ სხვა რელიგიების „დასაპყრობად“ აგრძელებს გზას.

ამ რელიგიური გადაბირებისა თუ ისლამის მსოფლიო რელიგიად ქცევის აკვიატებული იდეა, რომელიც წიგნს მთავარ ხაზად გასდევს, ხომეინის ისლამური რევოლუციის სულისკვეთების გამომხატველია. ამ გზის ჩვენება რომანში გაცვეთილი და მარტივი სიმბოლური სახეების საშუალებით ხდება. ხელნაწერის დაკარგვის გამო სასოწარკვეთილ მოძღვარს თეთრ მოსასხამში გახვეული ახალგაზრდა კაცი ესიზმრება, რომელსაც მისი წიგნი უჭირავს და ეუბნება:

„შენ ჩვენს ანაბარს კარგად უპატრონე... შენი არსება შეივსო... ახლა კი ჩვენი ანაბარი წავიღეთ შენგან. უნდა ვნახოთ, შენ შემდეგ მას ვინ მიხედავს...“ (Hassan Beigi, 2022: 134).

როგორც იტყვიან, თეთრი ძაფით ნაკერი პროპაგანდა განმარტებასაც არ ითხოვს: ძველმა ხელნაწერმა მართლმადიდებლური სამყარო დაარწმუნა შიიტური ისლამის პრივილეგიაში, ახლა გზას სხვა რელიგიებისკენ აგრძელებს. იმის გათვალისწინებით, რომ მღვდლის ჩემოდანში ალის ქადაგებების ნაცვლად ღვთისმშობლის პატარა სკულპტურა აღმოჩნდება, სავარაუდოდ, შემდეგი ნაბიჯი კათოლიკების „მოქცევა“ უნდა იყოს.

დასკვნა. ამ ორი, სრულიად განსხვავებული, რომანის თუნდაც მცირე შეპირისპირებითი ანალიზი ცხადჰყოფს, თუ რატომ არის ირანის კულტურისა და ისლამური დამოძღვრის სამინისტროს მიერ დაფინანსებული საგრანტო-

მთარგმნელობითი პროექტები საერთაშორისო ბაზრისთვის უმოქმედო და, პრაქტიკულად, უფუნქციო. მათ, იდეოლოგიური დანიშნულებიდან გამომდინარე, მხოლოდ იმ წიგნების თარგმანის დაფინანსება ხელეწიფებათ, რომელთაც მსოფლიო სალიტერატურო ბაზარზე წინასწარ აქვთ წარუმატებლობა განსაზღვრული. რა თქმა უნდა, ძნელია მტკიცება, რომ საერთაშორისო სივრცეში თანამედროვე სპარსული მხატვრული ლიტერატურის არცთუ პოპულარობის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ მთარგმნელობითი ცენტრების იდეოლოგიური ფუნქციაა, მაგრამ ერთ-ერთ განმსაზღვრელ და ძირითად ფაქტორად კი მისი მიჩნევა უპირობოდ შეიძლება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Azar, Sh. (2017). *Eshraq-e derakht-e gouje-ye sabz*. Australia.
- Hassan Beigi, I. (2022). *Naqusha be seda dar miaiand*. Tehran: Publishing House “ahd-e mana”.
- Hesabi, S. (2021). Mosahebeh ba Shokoofeh Azar. *Ava-ye tabid*, 15. <http://avaetabid.com/?p=1662> (18.08.21).
- Hassan Beigi, I. (2020). “Naqusha be seda dar miaiand”, pasoxi be bohran ha-ye siyasi-e Iran bad az sal-e 88. Iran Book Agency. <https://www.ibna.ir/fa/report/284782> (december 25, 2020).
- Hassan Beigi, I. https://fa.wikipedia.org/wiki/بیگی_حسن_ابراهیم
- Qafarzadeh, S. (2020). Goftogu ba Shokoofeh Azar, nevisande-ye roman-e “eshraq-e derakht-e gouje-ye sabz”. Hamyaari Media.
<https://media.hamyaari.ca/2020/09/10/آذر-شکوفه-با-وگو%E2%80%8Cگفت> (09.10.2020).

REFERENCES:

- Azar, Sh. (2017). *Eshraq-e derakht-e gouje-ye sabz [The Enlightenment of the Greengage Tree]*. Australia.
- Hassan Beigi, I. (2022). *Naqusha be seda dar miaiand [Church Bells Start Ringing]*. Tehran: Publishing House “ahd-e mana”.
- Hesabi, S. (2021). Mosahebeh ba Shokoofeh Azar [Interview with Shokoofeh Azar]. *Ava-ye tabid*, 15. <http://avaetabid.com/?p=1662> (18.08.21).
- Hassan Beigi, I. (2020). “Naqusha be seda dar miaiand”, pasoxi be bohran ha-ye siyasi-e Iran bad az sal-e 88 [“Church Bells Start Ringing”, A response to Iran's political crisis after 1988]. Iran Book Agency. <https://www.ibna.ir/fa/report/284782> (december 25, 2020).
- Hassan Beigi, I. https://fa.wikipedia.org/wiki/بیگی_حسن_ابراهیم
- Qafarzadeh, S. (2020). Goftogu ba Shokoofeh Azar, nevisande-ye roman-e “eshraq-e derakht-e gouje-ye sabz” [En interview with Shokoofeh Azar, the author of the novel "The Enlightenment of the Greengage Tree"]. Hamyaari Media.
<https://media.hamyaari.ca/2020/09/10/آذر-شکوفه-با-وگو%E2%80%8Cگفت> (09.10.2020).